სახელმწიფო შესყიდვის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №109
(საქონლის შესყიდვის შესახებ)

ქ. გორი

1 „ოქტომბერი“ 2016 წელი

ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის შ. ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სასპორტო სკოლა, (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი დირექტორის კოსტანტინე ხუბულურის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „დაფნე“ მისი დირექტორის დავით ჩრდილელის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია: გორის დღეებისას სტუმრებისთვის საკვები პროდუქტების შესყიდვა.

1.2 შესყიდვის ობიექტია –

№	საქონლის CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
1	03222111	ბანანი (წონის)	კგ	1.924	5.5	10.58
2	39222110	ერთჯერადი თეფში დიდი	ცალი	50	0.15	7.5
3	39222110	ერთჯერადი ჩანგალი	ცალი	30	0.05	1.5
4	15131130	ძეხვი ვენური შინხოფერი 150გრ	ცალი	2	4	8
5	15131130	ბეკონი თხლად დაჭრ.შინჰოფერი 150გრ	ცალი	2	5	10
6	15541000	სულგუნი შებოლილი	კგ	0.29	20	5.8
7	33764000	სუფრის ხელსაწმენდი ფერადი 50ც	ცალი	1	2.6	2.6
8	15982000	ფანტა ტროპიკი 2ლიტ	ცალი	1	2.8	2.8
9	15982000	სპრაიტი 2ლიტ	ცალი	1	2.8	2.8
10	15982000	ფანტა ფორთოხლის 2ლიტ	ცალი	1	2.8	2.8
11	15982000	კოკა კოლა ზერო 1.500ლიტ	ცალი	1	2.4	2.4
12	15894200	ნახევრადფენოვანი ხაჭაპური	ცალი	6	6	36
13	15812200	ნამცხვარი დაფნეს საკონდიტროდან	ცალი	18	2.5	45
14	15812200	ტრუბოჩკა 1	ცალი	10	0.8	8

2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2 გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.3 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში: მისი ღირებულება შეადგენს 145,78 (ას ორმოცდახუთ) ლარს და 78 თეთრს.

2.4. თანხის ანაზღაურება ხორციელდება საქონლის მიწოდებიდან და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 კალენდარულ დღეში.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. "მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 2 ოქტომბრამდე.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1."შემსყიდველი" ვალდებულია:

4.1.1.უზრუნველყოს მისთვის გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

4.2."შემსყიდველი"უფლებამოსილია:

4.2.1."მიმწოდებლისგან" მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში.

4.2.2."მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.2.3.თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.

4.2.4."მიმწოდებლისგან" მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

4.3.."მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.13.1.ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება.

4.3.2.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში "შემსყიდველს" წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

აკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა , რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან.

4.4.გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს "შემსყიდველს"გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტი.

4.3.5.დაუყოვნებლივ აცნობოს "შემსყიდველს"ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

4.3.6.ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

4.4."მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

4.4.1."შემსყიდველისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1."შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2.ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად,წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

5.3."შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების , აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

5.4."მიმწოდებელი" ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს პროექტთან დაკავშირებოთ ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

6. უფლებების გადაცემა

6.1."მიმწოდებელს" არ აქვს უფლება შემსყიდველის თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

7. ფასები

7.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. სუბკონტრაქტორები

8.1."მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებიდან გამომდინარე გასაფორმებელი ყველა სუბკონტარაქტორის შესახებ, რომელსაც თან უნდა დაერთოს დასადები ხელშეკრულების პროექტის ასლი.

8.2.ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან.

9. შეტყობინება

9.1.ნებისმიერი შეტყობინება,მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

9.2.შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს,იმის მიხედვით,თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1.ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტი , მისი შესაძლო გახანგრძლივების და გამომწვევი მიზეზების შესახებ.ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2.იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. ფორს-მაჟორული სიტუაცია

11.1.მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

11.2.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12.3.მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობებიდან, თუკი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.მხარეთ შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, თუ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ

ლებენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,03 პროცენტს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2.საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

13.3.საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.4.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.5ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ხელშეკრულების საერთო თანხის 5 პროცენტის ფარგლებში.

14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

14.1ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

14.2.ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2(ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

14.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

14.4.მხარეთა შორის გაფორმებული მიღება- ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულე - ბის მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

15.2.ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

15.3.მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15.4.ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების დარღვევის შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტის დადასტურება.

15.5.ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობით გაფორმების შედეგად.

15.6.ხელშეკრულება ძალაშია მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან *2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2017 წლის 1 თებერვლამდე.*

15.7.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხრეებთან.

16.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის
შ. ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური
სასპორტო სკოლა
მის: ქ. გორი, სტალინის გამზ. N11
ს/კ 218052014
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

დირექტორი:
[illegible] ბუთაბულური

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „დაფნე“

მის: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №26
ს/კ 218075026
ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
GE68PC0143600100021979

დირექტორი:
[illegible]

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. გორი 1 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის შ. ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სასპორტო სკოლა, მისი დირექტორის კოსტანტინე ხუბულურის სახით, „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „დაფნე“ მისი დირექტორის დავით ჩრდილელის სახით, „მიმწოდებლად“ წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 1 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. ღირებულებამ შეადგინა – 145,78 (ას ორმოცდახუთი) ლარი და 78 თეთრი.

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „დაფნე“

/დავით ჩრდილელი/

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის
მერიის შ. ჩოჩიშვილის
სახელობის ცენტრალური
სასპორტო სკოლა

/კოსტანტინე ხუბულური/